NELSON V. LEWIS და ილინოისის „ძაღლის კბენის შესახებ“ კანონი

ილინოისის სააპელაციო სასამართლოს 1976 წლის პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში, საქმეზე *Nelson v. Lewis*, განმარტებულია ილინოისის „ძაღლის კბენის შესახებ კანონის” ნორმა. ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს მნიშვნელოვან პრეცედენტს იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ განიმარტება პროვოკაცია ამ ნორმის მიზნებისთვის. გადაწყვეტილებით დადგინდა რომ პროვოკაცია მოიცავს, როგორც განზრახ, ასევე არაგანზრახ ქმედებას. სასამართლო თავის მსჯელობაში მიუთითებს დაზარალებულის ინტერესებისა და ძაღლის მეპატრონისთვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას შორის ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე. გადაწყვეტილება ასევე ხაზს უსვამს კონტექსტის მნიშვნელობას იმის დასადგენად, არის თუ არა ქმედება პროვოკაცია.

ორნახევარი წლის მოსარჩელე *ნელსონს* მოპასუხის ძაღლმა თვალის არეში იმ დროს მიაყენა დაზიანება, როდესაც მოსარჩელემ ძაღლს შემთხვევით კუდზე ფეხი დააბიჯა. გოგონას ძაღლის თავდასხმის შედეგად დაუზიანდა მარცხენა თვალის ცრემლსადენი სადინარი, რაც იწვევდა გახშირ ცრემლდენას, მაგრამ არა მხედველობის გაუარესებას. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ილინოისის „ძაღლის კბენის შესახებ კანონის” საფუძველზე და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება მიყენებული დაზიანებებისთვის. პირველი ინსტანციის სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტით სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც *ნელსონმა* სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იწყება სადავო საკითხის მომწესრიგებელი კანონის ნორმის *ციტირებით „თუ ძაღლი ან სხვა ცხოველი, პროვოკაციის გარეშე, თავს დაესხმება ან დააზიანებს პირს, რომელიც მშვიდობიანად იმყოფება ნებისმიერ ადგილზე, სადაც მას კანონიერად ყოფნის უფლება აქვს, ძაღლის ან სხვა ცხოველის მფლობელი ვალდებულია სრული ოდენობით აანაზღაუროს მიყენებული ზიანი”* (Ill. Rev. Stat. 1973, თავი 8, პარაგრაფი 366).

სასამართლო აღნიშნულ ნორმას 4 ელემენტად ყოფს. სახეზეა ელემენტების ტესტი და შესაბამისად ნორმის მოქმედება გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ყველა ელემენტი დაკმაყოფილდება. პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის არსებითი ელემენტებია: 1. დაზიანების მიყენება მოპასუხის ძაღლის მიერ; 2. პროვოკაციის არარსებობა; 3. დაზარალებულის მშვიდობიანი ქცევა; და 4. დაზარალებულის ყოფნა იმ ადგილას, სადაც მას კანონიერად ყოფნის უფლება აქვს. სასამართლო უთითებს, რომ 4 ელემენტიდან 3 ელემენტი აშკარად დაკმაყოფილებულია. ერთადერთი სადავო საკითხია, სახეზეა თუ არა ბოლო ანუ მე-4 „პროვოკაციის” ელემენტი. ამდენად, გადაწყვეტილების მსჯელობის მთავარი სამართლებრივი საკითხია, წარმოადგენს თუ არა ნორმის მიზნებისთვის „პროვოკაციას” მოსარჩელის მიერ ძაღლის კუდზე ფეხის უნებლიე დაბიჯება.

აშშ-ის სამართალში ელემენტების ტესტი ფართოდ არის გავრცელებული და იურიდიული ანალიზისთვის ზოგადი დამახასიათებელი ნიშა-

ნია. ეს მიდგომა გამოიყენება სამართლის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სისხლის სამართალში, სახელშეკრულებო სამართალში, დელიქტურ სამართალში და კონსტიტუციურ სამართალში. ელემენტების ტესტი ხელს უწყობს სასამართლოს მსჯელობას და უზრუნველყოფს ფაქტების თანმიმდევრულ და სტრუქტურირებულ შეფასებას. მაგალითად, დელიქტურ სამართალში დაუდევრობის სარჩელი მოითხოვს მოვალეობის, დარღვევის, მიზეზობრიობისა და ზიანის დადასტურებას. ელემენტების ტესტი არის სამართლებრივი ანალიზის კრიტიკული კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს სტრუქტურირებულ მიდგომას ნორმის ინტერპრეტაციისა და გამოყენებისთვის. საქმე *Nelson v. Lewis* არის კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენება ეს ტესტი პრაქტიკაში, რაც აჩვენებს მის მნიშვნელობას თანმიმდევრული სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ილინოისის სასამართლო პრაქტიკაში არსებობდა მსგავსი ტიპის დავები, რასთან დაკავშირებითაც სააპელაციო სასამართლო ავითარებს შემდეგ მსჯელობას: სასამართლო განიხილავს 3 პრეცედენტს, რათა დაადგინოს, გაცემულია თუ არა ამ გადაწყვეტილებებში კონკრეტულად *Nelson v. Lewis*-ში დასმულ შეკითხვებზე პასუხები. საქმეში *Siewerth v. Charleston*, სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო პროვოკაცია როდესაც დაზარალებულმა ბიჭმა და მისმა თანხმლებმა ძაღლს სამჯერ ჩაარტყეს. მართალია, ამ საქმეზე სასამართლომ უარყო პროვოკაციის იმგვარი განმარტება, რომ ის მხოლოდ განზრახ ქმედებას გულისხმობს, თუმცა დაადგინა, რომ დაზარალებული ბიჭის მიერ ძაღლისთვის წიხლის ჩარტყმა, სწორედ, აშკარად განზრახი და პროვოკაციული ქმედებაა. მეორე საქმეში – *Messa v. Sullivan* – სასამართლომ მოსარჩელის ქმედებებში, როდესაც ის მიდიოდა დერეფანში, სადაც მცველი ძაღლი ყარაულობდა, რომელიც მოსარჩელეს დანახვისთანავე თავს დაესხა, პროვოკაციის ნიშნები ვერ ამოიკითხა. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის ქმედება არ წარმოადგენს პროვოკაციას ამ ნორმის გაგებით. მესამე საქმეზე – *Steichman v. Hurst*, სასამართლომ დადგინა, რომ ფოსტის კურიერის მიერ მოპასუხის ძაღლისთვის სპრეის შესხმა არ წარმოადგენდა პროვოკაციას. *Steichman*-ში ფოსტის კურიერს შემთხვევის დღეს რამდენჯერმე ჰქონდა მოპასუხის ძაღლთან პრობლემა და შესაბამისად მან არაერთგზის სცადა ძაღლის მოგერიება. სასამართლომ მისი ქმედება მიიჩნია, როგორც „გონივრული ზომა თავის დასაცავად, რომელიც გამოწვეულია ძაღლის ქმედებებით და მხოლოდ მის მომენტალურად შეკავებას ისახავდა მიზნად”. ილინოისის სააპელაციო სასამართლოს სწორედ ეს მსჯელობა წარმოადგენს ამერიკული სამართლის ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპს ე.წ. *„Stare decisis“*-ს. ეს დოქტრინა უზრუნველყოფს რომ სასამართლომ იხელმძღვანელოს და მიჰყვეს წინა საქმეებში მიღებულ პრაქტიკას. უფრო ზუსტად, როდესაც სასამართლო განხილვისას დაადგენს, რომ წინა სასამართლომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება იმავე ან მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხზე, მაშინ სასამართლო ვალდებულია არსებული საქმე გადაწყვიტოს წინა სასამართლოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში.

Nelson v. Lewis საქმემდე ილინოისის სასამართლოებს არ ჰქონდათ გადაწყვეტილება მიღებული იმის შესახებ წარმოადგენს თუ არა ნორმის მიზნებისთვის უნებლიე ქმედება პროვოკაციას. თავად ნორმა არ უთითებდა და შესაბამისად არ ანსხვავებდა განზრახ და უნებლიე ქმედებებს. ამდენად, *Stare decisis*-დოქტრინით, ილინოისის სააპელაციო სასამართლო არ იყო ვალდებული რომელიმე პრეცედენტით გადაეწყვიტა საკითხი, რამდენადაც *Nelson*-ში დასმული საკითხი არსებითად განსხვავდებოდა განხილული 3 გადაწყვეტილებისგან.

როგორც აღინიშნა დავის საგანი ილინოისის სასამართლო პრაქტიკაში მანამდე არ იყო განხილული. სწორედ ამიტომ, ეს სასამართლოსთვის იყო „პირველი პრეცედენტი”. ე. წ. *first impression* არის შემთხვევა, როდესაც სასამართლომ უნდა იმსჯელოს სამართლებრივ საკითხზე ან განმარტოს ნორმა, რომელიც ადრე არ იყო გადაწყვეტილი იმავე იურისდიქციის სასამართლოების მიერ. ამდენად, ასეთი ტიპის გადაწყვეტილება ქმნის პრეცედენტს, რადგან ის

წარმოადგენს „სამართლის სრულიად ახალ საკითხს" რომელიც თავისთავად არ ექცევა უკვე გადაწყვეტილი, სავალდებულო პრეცედენტის ქვეშ. „პირველი პრეცედენტის" დროს სასამართლოს შეუძლია იხელმძღვანელოს სხვა შტატების (სხვა იურისდიქციების) სამართლებრივი პრაქტიკით. თუმცა ეს პრაქტიკა არ არის სავალდებულო და იგი გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ არგუმენტაციის მიზნებისთვის.

სასამრთლო მსჯელობს ნორმის მიზანზე და აღნიშნავს, რომ კანონმდებელი ცდილობდა ტესტი უფრო ობიექტური გაეხადა, როდესაც მან შეცვალა პრეცედენტული სამართლის წესი. საკითხის გადასაწყვეტად, არის თუ არა პროვოკაცია განზრახი თუ არაგანზრახი, სასამართლოს სჭირდებოდა სუბიექტური მხარის გამოკვლევა, რისი აუცილებლობაც კანონმდებელმა უკუაგდო შესაბამისი ნორმის შექმნისას. წინამდებარე კანონმა და მისმა უშუალო წინამორბედმა არსებითად შეამსუბუქა პრეცენდენტული სამართლის მიერ დაკისრებული ტვირთი. ის გამორიცხავს იმაზე მითითების შესაძლებლობას, რომ ძაღლი ადამიანების მიმართ ავი იყო და მეპატრონემ ამის შესახებ იცოდა.

სასამართლოს მსჯელობაში ცენტრალური საკითხი იყო „პროვოკაციის" განმარტება. სასამართლომ განსაკუთრებით გააფართოვა თავისი ინტერპრეტაცია და ის გაავრცელა უნებლიე ქმედებებზეც. ეს განმარტება თავისთავად წარმოადგენდა გადახვევას ჩვეულებითი სამართლის გაგებისგანაც. ამ ინტერპრეტაციას ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არასრულწლოვნის ქმედებების განხილვისასაც. სასამართლოს დასაბუთება გარკვეულწილად ძაღლების მფლობელებისთვის ზედმეტად მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად.

ავთანდილ სოფრომაძე, LL.M. (Chicago)